ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №246

ქ. თბილისი 16 სექტემბერი, 2016

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ჯღარკავას სახით (ბრძანება №01953. 30/09/2015), (შემდგომში წოდებული როგორც "მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კაკაურიძის სახით (შემდგომში წოდებული როგორც "შემსყიდველი"), მიმწოდებლის საწარმოს დებულების და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველო კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრის დაცვით, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი ახორციელებს მუნიციპალური მყარი ნარჩენების (რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, #6) ტრანსპორტირების და განთავსება-გაუვნებელყოფის მომსახურებას ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე (შემდგომში "მომსახურება") CPV 90512000.

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე (ქ. თბილისი, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15 კმ-ის მიმდებარედ) გაუვარგისებულ ფასეულობათა ტრანსპორტირებას ახდენს მიმწოდებელი საკუთარი საშუალებებით.

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად განახორციელოს ტრანსპორტირება და გაუვარგისებულ ფასეულობათა განადგურება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შემსყიდველისგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 შემსყიდველისგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია:

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

3.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

3.4.1 მოითხოვოს მიმწოდებლისგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს მიმწოდებლისგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.4.4 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში წერილობითი ფორმით ან ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ: 2619050.) აცნობოს მიმწოდებელს.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მყარი ნარჩენის ტრანსპორტირების (ერთ სვლა-გეზი) მომსახურების ღირებულება შეადგენს 72,96 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.3 ნარჩენების სპეც. მანქანაზე დატვირთვის სამუშაოს შესრულება 1 თანამშრომლის მიერ განისაზღვრება 1საათში 6,94 ლარის ოდენობით დღგ-ჩათვლით.

4.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება დაფიქსირდება მხარეთა შორის შედგენილ მიღება ჩაბარების აქტში, მაგრამ არაუმეტეს 550 ლარისა.

4.4. შემსყიდველი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მის საფუძველზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

4.5. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

4.6. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეები ადგენენ სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, რაც ადასტურებს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

4.7. დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

6.1 დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხებს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შედგენილი უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არ აქვთ.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ორი ეგზემპლარი - მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი
შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფი"
მის: ქ. თბილისი, კახეთის
გზატკეცილი №67
ს/კ 206267494
ს.ს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა.ა. № GE90LB0113172770216000

ლევან ჯღარკავა
დირექტორი

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ს/კ 203860642

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე